საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 16 აპრილის
№237 დადგენილება

დოქტორანტების სადისერტაციო
თემების და ხელმძღვანელების
შეცვლის შესახებ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

§ 1. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

1. სადოქტორო პროგრამა: სათბობ-ენერგეტიკული დარგების მენეჯმენტი

1.1. დოქტორანტ **თათა ფილიპიდისს** შეეცვალოს სადისერტაციო თემა. ნაცვლად თემისა - ხარისხის მენეჯმენტის გავლენა საქართველოს ენერგეტიკული სისტემის ფინანსურ მდგომარეობაზე, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემა - ენერგო კომპანიების მართვის სრულყოფის გაუმჯობესების გზები.
ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ნ.ღიბრაძე.

2. სადოქტორო პროგრამა: ჰიდროენერგეტიკული დანადგარები და სამილსადენო სისტემები

2.1. დოქტორანტ **მაია ჯიხვაძეს** შეეცვალოს სადისერტაციო თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი. ნაცვლად - სადაწნეხო ჰიდროსატრანსპორტო სისტემაში ნაკადის წყვეტის შედეგად განვითარებული გარდამავალი პროცესების გამოკვლევა, ხელმძღვანელი: სრ.პროფ. გ.ხელაძე, დაუმტკიცდეს ახალი თემა და ახალი სამეცნიერო ხელმძღვანელი - არასტაციონარულ და დრეკად- კედლებიან არხებში სითხის მოძრაობის თავისებურებათა გამოკვლევა,
ხელმძღვანელი: ასოც.პროფ. ე.მაჭავარიანი.

§ 2. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

1. სადოქტორო პროგრამა: ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია

1.1. დოქტორანტ **ალექსანდრე ჭიჭინაძეს** ნაწილობრივ შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება. ნაცვლად თემისა - ქანებში არამდგრადი ფენების არსებობით გამოწვეულ ბურღვის გართულებულ პირობებში ბურღვის რეჟიმის ოპტიმიზაცია და პროცესის კონტროლი, დაუმტკიცდეს ახალი თემა - არამდგრადი ფენების არსებობით გამოწვეულ ბურღვის გართულებულ პირობებში ბურღვის რეჟიმის ოპტიმიზაცია და პროცესის კონტროლი,
ხელმძღვანელი: პროფ. გ.ვარშალომიძე

2. სადოქტორო პროგრამა: გეოლოგია

დოქტორანტ **ირმა კოკოლაშვილს** ნაწილობრივ შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება და დაენიშნოს თანახელმძღვანელი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, გ.მ.მ.დ. ი.

შატილოვა). ნაცვლად სადისერტაციო თემისა - საქართველოს ტითონურ - ვალანჟური ტინტინიდები და მათი სტრატიგრაფიული მნიშვნელობა, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემა - აღმოსავლეთ საქართველოს სამატული ნალექების პალინოსტრატიგრაფია,
ხელმძღვანელები: სრ.პროფ. თ.ლომინაძე, აკად.დოქტ. ი.შატილოვა.
დოქტორანტ **თამარ გორგიძეს** ნაწილობრივ შეიცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება. ნაცვლად თემისა - შროშის გაბროული ინტრუზივის პეტროლოგია და ქანების ფიზიკურ- მექანიკური თვისებები (ძირულას კრისტალური მასივი), დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემა - შროშის გაბროული ინტრუზივის ქანების პეტროლოგია და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევა (ძირულას კრისტალური მასივი)
ხელმძღვანელები: სრ.პროფ. ნ.ფოფორაძე, მოწვ.პროფ. ო.დუდაური.
2.3. დოქტორანტ **ელინა ბაქრაძეს** ნაწილობრივ შეiცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება. ნაცვლად თემისა - მდ.მაშავერას და მდ.ფოლადაურის წყალშემკრები აუზების გეოეკოლოგიური მონიტორინგი, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემა - მდ. მაშავერას და მდ. ფოლადაურის წყალშემკრები აუზის გეოეკოლოგიური მონიტორინგი,
ხელმძღვანელი: სრ.პროფ. ნ.ფოფორაძე.
3. სადოქტორო პროგრამა : სამთო ტექნოლოგია
დოქტორანტ **მზია ნადირაძეს** ნაწილობრივ შეეცვალოს სადისერტაციო თემის დასახელება. ნაცვლად თემისა - მინერალური სანედლეულო რესურსების გამოყენების ეკონომიურ-ეკოლოგიური პრობლემები საქართველოში, დაუმტკიცდეს სადისერტაციო თემა - ჭიათურის რაიონის მინერალური რესურსების გამოყენების ეკონომიურ-ეკოლოგიური პრობლემების რაციონალური გადაწყვეტა,0
ხელმძღვანელი: სრ.პროფ. გ.ტაბატაძე

საფუძველი: სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეების მოხსენებითი ბარათები

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე